ლოგოსი. წელიწდეული ელინოლოგიასა და ლათინისტიკაში 6, 2020

ელისო ელიზბარაშვილი
გ. წერეთლის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი, საქართველო

საიმპერატორო კულტის გამოვლინება და მასთან დაკავშირებული წინასწარმეტყველებები ბიზანტიაში (VIII-XIII სს)[1]

საკვანძო სიტყვები: ბიზანტინისტიკა, წყაროთმცოდნეობა, იმპერატორის კულტი, კორონაცია, წინასწარმეტყველება

ბიზანტიური და, ზოგადად, შუა საუკუნეების ისტორიოგრაფიული თხზულებების შესწავლა მათში არა მყარი ისტორიული ფაქტებისა და თარიღების ძიების, არამედ სოციალური და კულტურული დეტალების გამოვლენის მიზნით, აქტუალური ტენდენციაა თანამედროვე მედიევისტიკაში. ამგვარ მიდგომას თავისთავად მივყავართ ბიზანტიელ ავტორთა მოტივებისა და მიზნების გააზრებისაკენ, როდესაც ისინი ისტორიოგრაფიულ ტექსტს ქმნიდნენ. სწორედ ამ საკითხს მიეძღვნა 2016 წელს ქ. ბელგრადში ჩატარებული „ბიზანტინისტთა საერთაშო-

[1] სტატია ეფუძნება მოხსენებას - „წინასწარმეტყველებანი როგორც საიმპერატორო კულტის გამოვლინება ბიზანტიურ ისტორიოგრაფიულ თხზულებებში (VIII-XIII სს)“ , რომელიც წაკითხულ იქნა საერთაშორისო კონფერენციაზე „აღმოსავლეთი და დასავლეთი: ლინგვისტური, კულტურული, ისტორიული ურთიერთობები“ (*ილიას სახელწიფო უნივერსიტეტი, გ. წერეთლის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი, 2019 წლის 12-15 დეკემბერი, თბილისი).*

რისო კონგრესის“ პლენარული სხდომა – “როგორ წერდნენ ბიზანტიელები ისტორიას” – რუთ მაკრიდის მოდერატორობით.[2] აღნიშნული მიმართულებით კვლევას გულისხმობს შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფუნდამენტური საგრანტო პროექტი – „კულტი და თაყვანისცემა ბიზანტიურ ისტორიოგრაფიულ ნარატივში (VIII-XIII სს)“[3], რომლის ფარგლებშიც მომზადდა წარმოდგენილი სტატია.

როგორც ცნობილია, იმპერატორის კულტი ბიზანტიაში ძველი რომაული ტრადიციის გაგრძელებაა, რაც ავგუსტუსის გაღმერთებას უკავშირდება, და მის ქრისტიანიზირებულ ფორმას წამოადგენს. საიმპერატორო კულტი მოიცავს რიტუალებსა და სიმბოლოებს, რაც უზრუნველყოფს იმის დემონსტრირებას, რომ იმპერატორი არ არის ჩვეულებრივი ადამიანი, არამედ ის ღვთაებრივთან წილნაყარია.[4] იმპერატორი გვირგვინმოსილია თავად უფლის მიერ, მას ეწოდება θεοστεφής, θεόστεπτος.[5]

ძველ რომში ადგილი ჰქონდა რელიგიურ თაყვანისცემას იმპერატორისადმი, რაც, მათ შორის, გამოიხატებოდა მათდამი მიძღვნილი ტაძრებით.[6] საკმარისია გავიხსენოთ Divus Augustus-ის სახელით ცნობილი ტაძარი რომში. თავად ბიზანტიის იმპერატორების რელიგიური წოდებაც augustus (ლათ.), σεβάστος (ბერძ.) რომიდან მომდინარეობს. ბიზანტიაში იმპერატორის ამგვარი პირდაპირი რელიგიური კულტი არ არის, თუმცა

---

[2] Macrides 2016, 257-263; Neville 2016, 265-276; Treadgold 2016, 277-292; Kaldellis 2016, 293-306.

[3] საგრანტო პროექტი N FR-18-677 ხორციელდება ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გ.წერეთლის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტში (2019-2022 წწ.)

[4] იხ. Warmind 1993, 211.

[5] Porph. *de cerim*. 1.8, 10.

[6] იხ. Gradel 2002; Duncan 1987.

გასათვალისწინებელია, რომ პირველი ხუთი ქრისტიანთათვის მნიშვნელოვანი იმპერატორი – კონსტანტინე დიდი (დედოფალ ელენესთან ერთად), თეოდოსი I, თეოდოსი II, მარკიანუსი და ლეო I – წმინდანებად იქნენ შერაცხულნი და, ამგვარად, მათ თაყვანს სცემდნენ უკვე ქრისტიანულ ტაძრებში. ამავე დროს, კონსტანტინე დიდი, ისევე როგორც მისი მემკვიდრეები, ინარჩუნებდნენ სრულ კონტროლს ეკლესიაზე და, ძველი რომის იმპერატორების მსგავსად ავგუსტუსების ეპოქიდან დაწყებული, ფაქტობრივად იყვნენ Pontifex Maximus. [7] კონსტანტინოპოლის პატრიარქს, როგორც წესი, ნიშნავდა ბიზანტიის იმპერატორი და მისი კურთხევისას წარმოთქვამდა სიტყვებს – "ἡ θεία χάρις καὶ ἡ ἐξ αὐτῆς βασιλεία ἡμῶν προβάλλεται τὸν εὐλαβέστατον τοῦτον πατριάρχην Κωνσταντινουπόλεως".[8]

ზოგადად, ბიზანტიაში საიმპერატორო კულტი ვლინდება როგორც რელიგიურ რიტუალებში, ისე სამეფო ცერემონიებში თანმხლები აკლამაციებით. ცნობილი ფრანგი ხელოვნებათმცოდნე ანდრე გრაბარი თავის წიგნში „იმპერატორის გამოსახულება ბიზანტიურ ხელოვნებაში" მრავალგზის აღნიშნავდა იმ მჭიდრო კავშირის შესახებ, რაც ბიზანტიურ ქრისტიანობასა და ბიზანტიურ საიმპერატორო ცერემონიებს შორის არსებობდა. [9] სწორედ იმპერატორის კულტის იდეასა და გამოვლინებებს უნდა ეთამაშა მნიშვნელოვანი როლი ბიზანტიაში ხატმებრძოლეობის ერესის ჩამოყალიბებაში. [10]

---

[7] დეტალურად იმპერატორის კულტის ტრანსფორმირების შესახებ ქრისტიანობის პირობებში იხ. Warmind 1993, 214-17.

[8] „ღვთის წყალობით და სამეფო ძალაუფლებით, რაც უფლის ნებიდან მომდინარეობს, ვნიშნავ მას კონსტანტინოპოლის პატრიარქად" - Porph. *de cerim*. 2. 14.

[9] Grabar 1936.

[10] Barnard 1973, 13-29; Warmind 1993, 213.

რამდენადაც რომაული ტრადიციის თანახმად იმპერატორის ნებისმიერ გამოსახულებას ჰქონდა საკულტო დანიშნულება და სიწმინდედ მიიჩნეოდა, ცხადია, ხატმებრძოლეობა ვერ მიიღებდა არსებულ მასშტაბებს იმპერატორთა მხარდაჭერის გარეშე. ბიზანტიის ხატმებრძოლი იმპერატორები უარყოფდნენ არა ქრისტეს, არამედ ნებისმიერ გამოსახულებას, რომელიც მათ არ ეკუთვნოდათ. მათ სურდათ ყოფილიყვნენ წმინდა ქმნილებები, βασιλεὺς καὶ ἱερεὺς εἰμι – წერდა იმპერატორი ლეონ II რომის პაპს გრიგოლ III-ს.[11] იმპერატორის გამოსახულების თაყვანისცემას ადგილი ჰქონდა ქრისტიანული რომის დროსაც. კერძოდ, VI საუკუნის ისტორიკოსის იოანე მალალას ცნობით კონსტანტინე დიდმა დაამკვიდრა ტრადიცია, რომ გამოეტანათ მისი გამოსახულება და თაყვანი ეცათ მისთვის კონსტანტინოპოლის დაარსების იუბილის საზეიმო პროცესიისას.[12] იმპერატორთა გამოსახულებებისა და ქანდაკებების თაყვანისცემის ჩვეულების შესახებ წერენ ბასილი კესარიელი („ტრაქტატი წმინდა სულის შესახებ“)[13] და გრიგოლ ნაზიანზელი[14], ხოლო V ს-ის ისტორიკოსი ფილოსტორგიუსი აღნიშნავს, რომ კონსტანტინე დიდის კულტი მოიცავდა ფორუმზე მისი ქანდაკებისთვის მსხვერპლშეწირვას, სანთელ-საკმევლის დანთებასა და ლოცვას.[15] V-VI საუკუნეებში იმპერატორის კულტის გამოვლინებებში კვლავ მოიაზრებოდა ყველა ეს რიტუალი (მსხვერპლშეწირვის გარდა) – მისი გამოსახულების გამოტანა საზეიმო პროცესიის დროს, თაყვანისცემა (προσκύνησις), სანთელ-საკმევლის დანთება.

---

[11] Jaffé, Wattenbach 1888, No. 2182
[12] Malalas, *Chron*. XIII.
[13] P.G., 32.149c
[14] Or., 4. *Contra Iulianum*. I. 80. P.G., 35.605c.
[15] Philostorgius 17.

იმპერატორის გამოსახულების ამგვარი დემონსტრირება ხდებოდა ასევე იმპერიის მოშორებულ პროვინციებში, სადაც ვერ ხერხდებოდა თვითმპყრობლის პირადად მისვლა. იმპერატორის პორტრეტს ასევე მნიშვნელოვანი როლი ჰქონდა სამხედრო ინსიგნიებისა და საიმპერატორო ადმინისტრაციული პროტოკოლისთვის, ხოლო ad statuas confugere (მიმართვა ქანდაკებისადმი) იყო ყოველი პიროვნების უფლება, რომელიც ეძიებდა მფარველობას.[16] ამგვარად, იმპერატორის გამოსახულების კულტს სიმბოლურად მისი ძალაუფლების გამოვლენის ფუნქცია ჰქონდა, თუმცა VI ს-დან თავად იმპერატორთა ინიციატივით იწყება რელიგიური გამოსახულებების დემონსტრირება, თავიანთი გამოსახულებების სანაცვლოდ. ჰამილტონისა და ბრუქსის მიერ გამოცემული ერთ-ერთი სირიული წყარო, რომლის ავტორადაც ზაქარია სქოლასტიკოსი (V-VI სს) მოიაზრება, მოგვითხრობს სამეფო საზეიმო მსვლელობის შესახებ, რომლის დროსაც ქრისტეს გამოსახულება გამოუბრძანებიათ სასულიერო პირებს თავად იმპერატორ იუსტინიანეს გარემოცვის რჩევით.[17] ბიზანტიელი ისტორიკოსები – თეოფანე აღმსარებელი (VIII ს), იოანე ზონარა (XII ს) და ნიკიფორე კალისტოსი (XIV ს) მოგვითხრობენ ხალკეს სასახლის კარიბჭეზე კონსტანტინე დიდის გამოსახულების ქრისტეს გამოსახულებით ჩანაცვლების შესახებ,[18] ხოლო იუსტინიანე II-მ (685-695) ქრისტეს გამოსახულება დაატანინა მის მიერ მოჭრილ მონეტაზე, რომლის მეორე მხარესაც თავადაა გამოსახული

---

[16] Barnard 1973, 24-25.

[17] Zachariah 12. 4.

[18] Theophanes, *Chron*. (Bonn ed.), 439ff ; Zonaras, *Epit. Hist*. 14.13.30ff; Niceph. Callistos, *Eccl*. *Hist*. 18.42 (P.G., 147.413).

წარწერით “servus Christi”.[19] ამგვარად, ბიზანტიის მმართველები იწყებენ რელიგიური გამოსახულებების საჯაროდ გამოყენებას, მათ შორის, დამცავი ფუნქციით, ხოლო ხატმებრძოლეობის შემდგომ ეპოქაში (VIII-XIII სს) იმპერატორები ქრისტიანული რელიგიური ატრიბუტიკის, კერძოდ ხატების დემონსტრირებას ახდენენ უკვე სამხედრო ტრიუმფის დროს. ეს მოვლენა განსაკუთრებით საგულისხმოა იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ თავად სამხედრო ტრიუმფი საიმპერატორო კულტის ერთ-ერთ მნიშვნელოვან გამოვლინებას წარმოადგენდა, ხოლო ამ პროცესიის დროს იმპერატორების მხრიდან ასეთი დემონ-სტრაციული თაყვანისცემა ხატებისა, მათ აღმატებულობას უსვამდა ხაზს. მაგ. ნიკიტა ხონიატისი მოგვითხრობს, თუ როგორ დააბრძანებენ იმპერატორები მანუელ და იოანე კომნენოსები საიმპერატორო ტრიუმფალურ ეტლზე ღვთის-მშობლის ხატს, თავად კი ფეხით მიუყვებიან საზეიმო პროცესიას.[20] აღსანიშნავია, რომ ამ დროისთვის უკვე წესად ჰქონდათ ბრძოლის ველზე ღვთისმშობლის ხატის თან ხლება იმპერატორებს და თავიანთ გამარჯვებასაც ამ ხატს უმად-ლოდენ.[21] გარდა ამისა, კორონაციის დროს ღვთისმშობლისადმი მიმართლ ფრაზაში ვკითხულობთ: „ღვთისმშობელო ქალწულო, შეეწიე როგორც თანასარდალი (συστρατήγησον) იმპერატორებს, რომელთაც მიიღეს გვირგვინი შენგან.[22]

---

[19] Wroth 1908, 331 plates: 38, 39.

[20] *Chon. Hist.* 5. 26.

[21] *Chon. Hist.* 1.4.; Psell. *Chron.* I. 1. 15 და სხვ.; სკვითების წინააღმდეგ ბრძოლის დროს იმპერატორ ალექსი კომნენოსს ერთ ხელში უჭყრია ხმალი, ხოლო მეორეში ღვთისმშობლის ომოფორი - Comn. Alex. 7. 3; ნიკიტა ხონიატისი

[22] Porph. *de cerim.* I, 8. Reiske, 55.

შუა ბიზანტიურ ხანაში ბიზანტიის სამეფო კარზე არსებული რიტუალების შესახებ უმთავრეს წყაროს წარმოადგენს კონსტანტინე VII პორფიროგენეტის (913-953) მიერ შედგენილი თხზულება „De ceremoniis“.[23] მასში გადმოცემულია ის ცერემონიული პროტოკოლები, რაშიც მონაწილეობდა იმპერატორი როგორც ეკლესიასთან, ისე სამეფო კართან, ჯართან და, ზოგადად, ხალხთან ერთად, როგორც ეს იყო შუა ბიზანტიურ პერიოდში (VIII-XIII სს). გარდა ამ რიტუალური მხარისა, საიმპერატორო კულტის ერთ-ერთ გამოვლინებად გვესახება წინასწარმეტყველებანი, რაც მომავალ იმპერატორებს უკავშირდებათ და განსაზღვრავს მათ წარმატებულ თუ წარუმატებელ მეფობას. იმპერატორებთან დაკავშირებული წინასწარმეტყველებების ძირითადად ორი სახისაა: წინასწარმეტყველური სასწაულები – ხილვები, სიზმრები, მოვლენები (ღვთაებრივი ინტერვენცია) – და ორაკულთა და ასტროლოგთა პირდაპირი წინასწარმეტყველებანი.

რომში არსებობდა რწმენა, რომ იმპერატორების მმართველობა, განსაკუთრებით რამდენიმე იმპერატორის, ავგუსტუსებიდან ფლავიუსებამდე, წინასწარ იყო განსაზღვრული ღვთაებრივი მინიშნებებით.[24] რომაელი ისტორიკოსი სვეტონიუსი (I-II სს) მოგვითხრობს მრავალი ასეთი წინასწარმეტყველური ლეგენდის შესახებ, რაც წინ უძღვის იმპერატორების – ტიბერიუსის (ახ.წ. 14-37), გალბას (ძვ.წ. 3- ახ.წ. 69), ვესპასიანუსისა (ახ.წ. 69-79) და სხვათა – ტახტზე ასვლას.[25]

---

[23] Porph. *de cerim*.
[24] Lattimore 1934, 441.
[25] Suet. *Tib*. xiv, *Galb*. i, iv, *Vesp*. v, vi; Lattimore 1934, 442.

რიტუალები, რითაც აღინიშნებოდა იმპერატორის დაბადება, კორონაცია, ქორწინება და გარდაცვალება, წარმოაჩენდა მას, როგორც უფლის ნაცვალ ავტოკრატს მიწაზე. როგორც წესი, პორფიროგენეტის, რაც ისავრიელების დინასტიის პერიოდიდან დგინდება, დაბადებას თან ახლდა რიტუალები და აკლამაციები, რაც იმას მიანიშნებდა, რომ ახალშობილი უფლის მიერ უკვე მომავალ იმპერატორად იყო მიჩნეული.[26] ამიტომაც მას, ჯერ კიდევ ყმაწვილს, იმპერატორად აკურთხებდა მოქმედი იმპერატორი და არა პატრიარქი, როგორც ეს არაპორფიროგენეტის შემთხვევაში ხდებოდა. ასევე, მას უფლება ეძლეოდა ესარგებლა ისეთი საიმპერატორო რეგალიებით, როგორიც იყო მეწამული მოსასხამი, მეწამული წუღები, წითელი მელანი... ამიტომ როგორც ორაკულთა წინასწარმეტყველებანი, ისე ხილვები ხშირად სწორედ პორფიროგენეტის შობას ახლდა თან. ასე, მაგალითად, ნიკიტა ხონიატისი აღწერს სადღესასწაულო მზადებასა და ასტროლოგიურ წინასწარმეტყველებას მანუელ კომნენოსის უფლისწულის დაბადებასთან დაკავშირებით: „როდესაც დედოფალს ილითიები – მშობიარობის ქალღმერთები ესტუმრნენ, ის მეწამულ საძინებელში შეაბრძანეს. იქ იმყოფებოდა იმპერატორიც, რომელიც თავისი ყოფნით ტანჯვას უმსუბუქებდა დედოფალს, თუმცა მეტი ყურადღება მიეპყრო მათდამი, ვინც ვარსკვლავებს და ზეციურ ნიშნებს აკვირდებოდნენ. და როდესაც იშვა ვაჟი (1169 წლის 14 სექტემბერი), ასტროლოგებმა იწინასწარმეტყველეს, რომ ის იქნებოდა კურთხეული ბედის მქონე და მამის ტახტის მემკვიდრე. შობიდან მერვე დღეს იმპერატორი მანუელი

[26] პორფიროგენეტის დაბადებასთან დაკავშირებული ცერემონიები აღწერილია: Porph. *de cerim.* , II, c.21-23.

უფლისწულს სახელად დაარქმევს ალექსის. როგორც ნიკიტა ხონიატისი განმარტავს, მას ეს სახელი არ აურჩევია არც შემთხვევით და არც მისი პაპის პატივსაცემად, არამედ იმ წინასწარმეტყველების თანახმად, რაც ორაკულმა განუცხადა პასუხად კითხვაზე, თუ რამდენ ხანს იქნებოდნენ იმპერიის სათავეში ალექსი კომნენოსის დინასტიის წარმომადგენელნი. ორაკულის პასუხი იყო: αἷμα (ბერძ. სისხლი). მანუელმა ეს პასუხი შენდეგნაირად გაშიფრა: α – ალექსი, ι – იოანე, μ – მანუელი და α – ალექსი“.[27]

მეორე წინასწარმეტყველება, რომელსაც შევეხებით, გვამცნობს, რომ პორფიროგენეტად შობა არ არის გარანტია იმპერატორად გახდომისა, რამდენადაც ამას მხოლოდ უფლის ნება განაგებს. ნიკიტა ხონიატისი მოგვითხრობს, რომ, როდესაც იოანე კომნენოსს შეეძინა ვაჟიშვილები, თავის პირმშო ძეს, სახელად ალექსის, უფლება მისცა შემოსილიყო მეწამული მოსასხამითა და წითელი წუღებით (ანუ სამეფო რეგალიებით) და განდიდებულიყო მამასთან ერთად როგორც იმპერატორი, ხოლო თავის მეორე, მესამე და მეოთხე ძეებს – ანდრონიკეს, ისააკსა და მანუელს სებასტოკრატორის წოდება მიანიჭა. მაგრამ ერთ დღეს იმპერატორმა სიზმრად იხილა თავისი ახლად გვირგვინმოსილი ძე ალექსი ლომზე ამხედრებული, რომელიც მის ყურებს ჩასჭიდებოდა როგორც სადავეს, თუმცა არ შეეძლო მხეცის მართვა. ამ სიზმრით მას მიენიშნა, რომ ალექსი მხოლოდ სიტყვიერად იქნებოდა იმპერატორი და რეალურ ძალაუფლებას ვერ მიიღებდა, რაც მალევე ასეც მოხდა:

[27] *Chon. Hist.* 219-220.

უფლისწულს სიკვდილი ეწვია. [28] იმპერატორობა კი იოანეს უმცროს ძეს, მანუელს ხვდა წილად.

მიუხედავად იმისა, რომ შუა პერიოდის ბიზანტია დინასტიების ეპოქაა, მაინც არ არსებობდა ძალაუფლების მემკვიდრეობითობის რაიმე უნივერსალური წესი. ყველაზე ხშირად თავად იმპერატორი აკურთხებდა პორფიროგენეტ უფლისწულს, ან თავის რჩეულ მემკვიდრეს, თუმცა არც საიმპერატორო ტახტის უზურპაცია და ჯარის მიერ არჩევისა და ფარზე დასმის რომაული ტრადიცია იყო უცხო. ამ შემთხვევაში კონსტანტინოპოლის პატრიარქი მირონს სცხებდა მომავალ ავტოკრატს. უმთავრესი იყო თავად კორონაციის სიმბოლური აქტი, რაც ბიზანტიელთა რწმენით უფლის ნებით ხდებოდა. იმპერატორის, როგორც უფლის რჩეულის დემონსტრირება ხდებოდა როგორც იკონოგრაფიით, ისე კორონაციის დროს წარმოთქმული აკლამაციებით, რაც დასტურდება კონსტანტინე პორფიროგენეტის ცერემონიათა წიგნში. [29] საიმპერატორო ძალაუფლების ღვთაებრივი წარმომავლობის იკონოგრაფიული გამოსახულების ცნობილი ნიმუშია მოსკოვში დაცული X ს-ის სპილოსძვლის ხატი, რომელიც წარმოგვიდგენს კონსტანტინე VII პორფიროგენეტს (913-920 და 945-959), რომელსაც გვირგვინით მოსავს თავად ქრისტე. ასევე, XI ს-ის ხელნაწერის მინიატურაზე გამოსახულია ბასილი II-ის (976–1025) ღვთაებრივი კორონაცია [30]. მას თავად ქრისტე აძლევს კურთხევას, მთავარანგელოზები მოსავენ გვირგვინითა და იარაღით, ხოლო მის მარჯვნივ და მარცხნივ წმინდა მხედრები არიან გამოხა-

[28] *Chon. Hist.* 5.23-24.
[29] Porph. *de cerim.* 47 (38).
[30] Bibliotheca Marciana Ms. gr. 17, fol. 3r.

ტულნი. იმპერატორის კორონაციის რიტუალის დროს წარმოთ-ქმულ აკლამაციებში, რაც კონსტანტინე პორფიროგენეტის „ცერემონიათა წიგნში“ დასტურდება, მრავალგზის მეორ-დებოდა სხვადასხვა ფრაზა, რომლებიც გულისხმობდნენ, რომ იმპერატორი თავად უფლის მიერ არის გვირგვინმოსილი. [31] ზოგადად, შუა პერიოდის ბიზანტიურ საიმპერატორო ხელოვ-ნებაში უფრო ხშირ და სისტემატურ ხასიათს ღებულობს მინიშნებანი ღვთაებრივ კორონაციაზე. ამ მხრივ საყურადღებოა სამონეტო იკონოგრაფია, რაც აღმოსავლეთ რომის იმპერიის მნიშვნელოვანი იდეოლოგიური კონცეფციის მატარებელია. [32] მაკედონელთა დინასტიის წარმომადგენელი იმპერატორები ხშირად ირჩევდნენ, გამოსახულნი ყოფილიყვნენ რელიგიურ პირთა მიერ კორონაციის პროცესში, როგორც ეს ზემოთ დასახელებული მინიტურებიდანაც ვლინდება. იმპერატორ ალექსანდრეს (912–913) ერთ-ერთ მონეტაზე გვირგვინით ამკობს იოანე ნათლისმცემელი. [33] უზურპატორი რომანოზ I ლაკაპენოსი (920-944) ჭრის მონეტას, რომელზეც გამოსახულია, თუ როგორ აკურთხებს მას იმპერატორად ქრისტე, [34] ხოლო იოანე I ციმისკესი (969–976), რომანოზ III არგიროსი (1028-1034), მიქაელ VI სტრატიოტიკოსი (1056–1057) და კონსტანტინე X დუკა (1059–1067) სამონეტო იკონოგრაფიაში ღვთაებრივ კორონაციას ღვთისმშობლისგან ღებულობენ.[35]

---

[31] Porph. *de cerim*. 72 (63), Reiske, 281-283.

[32] გვირგვინშემოსვის ასახვის შესახებ ბიზანტიურ მონეტებზე იხ. Maladakis 2008, 342- 360; კორონაციის გამოსახვის იდეოლოგიური დატვირთვის შესახებ იხ. Walter 1982, 119,

[33] Maladakis 2008, 344, fig.1.

[34] Maladakis 2008, 346 fig.3.

[35] Maladakis 2008, 347 fig.4, 348 fig.5, 349 fig. 6, 350 fig.8.

იოანე სკილიცესი მოგვითხრობს, რომ მრავალი წინასწარ-მეტყველება არსებობდა, რომელიც მიანიშნებდა ბასილის I-ის მომავალ იმპერატორობაზე. მაგალითად, ბასილის დედამ სიზმრად იხილა უზარმაზარი კვიპაროსის მსგავსი ხე ოქროს ფოთლებითა და ოქროს რტოებით, რომლის კენწეროშიც ბასი-ლი იჯდა.[36] ასევე, ბავშვობაში, როდესაც ბასილის მზის გულზე ეძინა, მოფრინდა არწივი, თავისი ფრთებით მოუჩრდილა და ასე მოარიდა ბასილი მზის სხივებს. ბასილის დედამ იფიქრა, რომ მტაცებელი ფრინველი ერჩოდა მის შვილს და ქვით მოიგერია. მაგრამ, როდესაც არწივი კვლავ დაბრუნდა, მაშინ მიხვდა დედა უფლის ჩანაფიქრს.[37] ეს მონათხრობი მცირედი ცვლილებებით იმეორებს წინასწარმეტყველურ ლეგენდას სრულიად სხვა იმპერატორის, მარკიანუსისა, რომელიც 450-457 წლებში მეფობდა. იგი, როდესაც ჯერ კიდევ უბრალო ჯარის-კაცი იყო, შეპყრობილ იქნა ვანდალების მმართველის გეიზე-რიხის მიერ. ერთხელ ტყვეობაში ყოფნისას, როდესაც მას მზის გულზე ჩაეძინა, მოფრინდა არწივი და თავისი ფრთებით მოარიდა კაშკაშა მზეს, როგორც ამას პროკოპი კესარიელი (VI ს) და ევაგრი სქოლასტიკოსი (VI ს) გადმოგვცემენ. გეიზერიხმა ეს მიიღო როგორც წინასწარმეტყველური ნიშანი, რომ მარკიანუსი ბიზანტიის იმპერატორი გახდებოდა. ამიტომ გაათავისუფლა ტყვეობიდან და ჩამოართვა პირობა, რომ ვანდალების წინააღმდეგ არასოდეს აიღებდა ხმალს.[38] როგორც ჩანს, ამ მონათხრობს იღებს საფუძვლად თეოფანე აღმსარებელი (IX ს), რომელიც ამავე ლეგენდის განსხვავებულ ვერსიას გვთავაზობს.

---

[36] Skylitzes 6, 5.
[37] Skylitzes 6, 3.
[38] Evagrius, II.1; Procop. *Bellum Vandalicum* I.4.7.

კერძოდ, მარკიანუსს ეს სასაწაულებრივი ამბავი შეემთხვევა არა მარტო ტყვეობაში ყოფნის დროს, არამედ მანამდეც – ნადი-რობისას.[39] კიდევ უფრო ადრეული ნარატივი კი ეკუთვნის რომაელ ისტორიკოსს სვეტონიუსს (I-II სს) და ეხება რომის იმპერატორ ტიბერიუსს (ახ.წ. 14-37). იგი გვამცნობს, როგორ მოფრინდა და დაჯდა არწივი ტიბერიუსის სახლზე კ.რო-დოსზე, რაც მისი მომავალი იმპერატორობის მომასწავებელი იყო.[40]

ლეგენდების თუ სასწაულების ამგვარი განმეორებადობა არ არის უცხო ბიზანტიური ისტორიული თხზულებებისთვის, როდესაც იმპერიის სხვადასხვა მმართველებს მსგავსი, ან სულაც იდენტური ლეგენდები უკავშირდებათ. მკითხველის თვალში ამას დამაჯერებლობლობის ხარისხი უნდა გაეზარდა, რამდენადაც სტერეოტიპულობა და განმეორადობა სანდოობის გარანტად მიიჩნეოდა.

რაც შეეხება არწივის სიმბოლიკას, გარდა იმ საყოვალთაოდ ცნობილი დატვირთვისა, რაც მას ჰქონდა ძველ რომსა და ბიზანტიაში, წმინდა წერილში უფალი, უფლის ძალი მრავალ-გზის შედარებულია არწივს, რომელიც გვიფარავს, როგორც არწივი იფარავს თავის მართვეებს ფრთებით და გადაჰყავს მხრებით: [ესაია 40: 31], [გამოსვ. 19: 4], [მეორე რჯული 32: 11], [ფსალ. 102: 5; 35: 7; 62: 8; 16: 8] და სხვ. ანალოგიურად განმარტავს თეოდორიტე კვირელი ერთ-ერთი ფსალმუნის ფრაზას – „ბეჭთა საშუვალითა მისითა გფარავდეს შენც, და საგრილისა ფრთეთა მისთასა ესვიდე“ [ფსალ. 90: 4][41]. ყოველივე

[39] Theophan. *Chron*. AM 5943
[40] Suet. *Tib*. 14. 2.
[41] Theodorer of Cyrus, *Proenium in Psalmos*: PG 80. 1609.

აქედან გამომდინარე, ადვილი ასახსნელია ზემოთ მოტანილი ლეგენდის ასეთი პოპულარობა.

წინასწარმეტყველება მიანიშნებს, თუ როგორ გამოარჩევს უფალი თავის რჩეულს. ეს არც რომაული სამყაროსთვის იყო უცხო, თუმცა ბიზანტიურ ისტორიოგრაფიულ თხზულებებში არსებული ამგვარი ნარატივები ეყრდნობა ასევე ბიბლიურ ტრადიციას. კერძოდ, საგულისხმოა ცნობილი ეპიზოდი – წინასწარმეტყველი სამოელი მიდის ღარიბი მწყემსის იესეს სახლში რათა უფლის ბრძანებით ზეთი სცხოს ისრაელის მეფეს და ფიქრობს, რომ ეს იესეს რომელიმე უფროსი ვაჟი უნდა იყოს. მაგრამ უფლის რჩეული უმცროსი ვაჟი დავითია და სამოელიც მას სცხებს ზეთს რქიდან [I მეფ. 16: 1-13.]. სწორედ ეს სცენაა გამოსახული მინიატურაზე XIs-ის პარიზის ცნობილი ხელნაწერიდან.[42] ამ ბიბლიურ ამბავთან პირდაპირი პარალელის გავლება ხდება ბიზანტიის იპერატორად კურთხევის დროს – ლოცვაში, რომელსაც წარმოთქვამს კონსტანტინოპოლის პატრიარქი, იგი მიმართავს უფალს, რომ აკურთხოს იმპერატორი ისევე, როგორც სამოელის ხელით აირჩია და აკურთხა დავითი ისრაელის მეფედ: „უფალო ჩვენო ღმერთო, მეფეთ მეფეო და უფალთ უფალო, როგორც სამოელ წინასწარმეტყველის მეშვეობით აირჩიე მონა შენი დავითი შენი ერის ისრაელის მეფედ, ისმინე ჩვენი, უღირსთა ვედრება და დაადგინე შენი ერთგული მსახური მეფედ შენი წმინდა ერისა, რომელიც შენ გამოისყიდე შენი მხოლოდშობილი ძის ძვირფასი სისხლით: აკურთხე ის სიხარულის ზეთით, მიუვლინე მას ძალი ზეციური, დაადგი წმინდა ოქროს გვირგვინით, მიანიჭე მას დიდხანს სიცოცხლე, მიეცი მას მარჯვენა ხელში ხსნის

[42] Bibliothèque Nationale, MS. gr. 139, fol. 3v.

კვერთხი, დააბრძანე სამართლიანობის ტახტზე, გახადე ის სულიწმინდის მფარველად, გააძლიერე ის, დაუმორჩილე მას ყველა ბარბაროსი ერი..... „.[43] როგორც ვხედავთ, ბიზანტიის იმპერატორის ბიბლიურ დავითთან ასოცირების საკითხი რომაელების როგორც უფლის მიერ რჩეული ერის იდეას უკავშირდება, რაც უკვე ცალკე განხილვის საგანია.

ამგვარად, იმპერატორის კულტი ბიზანტიაში ეყრდნობა ორ ტრადიციას – რომაულ ტრადიციას იმპერატორთა კულტისა, რასაც საფუძველი დაუდო ავგუსტუსის ე.წ. კულტურულმა რევოლუციამ, და ბიბლიურ ტრადიციას, როდესაც ხდება იმპერატორის გაიგივება მეფე დავითთან, რაც ვლინდება სამეფო-რელიგიურ ცერემონიებსა და აკლამაციებშიც. წინასწარმეტყველებები გვამცნობენ, რომ იმპერატორად გახდომა, იქნება ეს პორფიროგენეტი უფლისწული, თუ უბრალო ჯარისკაცი, რომელიც იმპერიის სათავეში მოექცევა, ღვთაებრივი განგებითაა განპირობებული. ამით მომავალი იმპერატორის გამორჩეულობას ესმევა ხაზი, რაც მის კულტს უზრუნველყოფს.

ბიბლიოგრაფია:

Barnard, Leslie William. 1973. „The Emperor Cult and the Origins of the Iconoclastic Controversy“. *Byzantion* Vol. 43: 13-29.

Bidez, Joseph, ed. 1981. *Philostorgius. Kirchengeschichte. Mit dem Leben des Lucian von Antiochien und den Fragmenten eines arianischen Historiographen*. Berlin.

[43] Porph. *de cerim*. I, 93.

Duncan, Fishwick. 1987. *The Empirial Cult in the Latin West*. Leiden: Brill.

Grabar, André. 1936. *L'empereur dans l'art byzantine.* Paris: Les Belles Lettres.

Gradel, Ittai. 2002. *Emperor Worship and Roman Religion*. Oxford: Oxford University Press.

Hamilton, Frederick John and E. W. Brooks. 1899. *The Syrian Chronicle known as that of Zacharias of Mytilene*. London.

Jaffé, Philippus. Wattenbach, Wilhelm, eds. 1888. *Regesta pontificum romanorum.* v. II. Lipsiae.

Kaldellis, Anthony. 2016. "The Manufacture of History in the Later Tenth and Eleventh Centuries: Rhetorical Templates and Narrative Ontologies". In *Proceedings of the 23nd International Congress of Byzantine Studies, plenary papers*, Belgrade 22-27 August 2016: 293-306.

Lattimore, Richmond. 1934. "Portents and Prophecies in connection with the Emperor Vespasian". In *The Classical Journal* , Vol. 29, No. 6: 441-449.

Macrides, Ruth. 2016. "How the Byzantines Wrote History". In *Proceedings of the 23nd International Congress of Byzantine Studies, plenary papers*, Belgrade 22-27 August 2016: 257-263.

Maladakis, Vangelis. 2008. „The *Coronation* of the *Emperor* on *Middle Byzantine Coinage*: A *Case* of *Christian Political Theology* (*10th–mid 11th c.*)". In *International Conference in Memory of Dr. Milko Mirchev – Numismatic, Sphragistic and Epigraphic Contributions to the History of the Black Sea Coast,* Varna, September 15th-17th, 2005: 342-360.

Neville, Leonora. 2016. "Why Did the Byzantines Write History?" In *Proceedings of the 23nd International Congress of Byzantine Studies, plenary papers*, Belgrade 22-27 August 2016: 265-276.

Reiske, Johann Jacob, ed. 1829. *Constantinus Porphirogenitus, De cerimoniis aulae byzantine*, Bonn: Weber.

Treadgold, Warren. 2016. "The Unwritten Rules for Writing Byzantine History". In *Proceedings of the 23nd International Congress of Byzantine Studies*, plenary papers, Belgrade 22-27 August 2016: 277-292

Warmind, Morten Lund. 1993. "The Cult of the Roman Emperor before and after Christianity". In *The Problem of Ritual*, Edited by Tore Ahlbäck, Sisälähetysseuran kirjapaino Raamattutalo, Pieksämäki, 211-220.

Walter, Christopher. 1982. *Art and Ritual in the Byzantine Church*. London: Variorum Publications.

Wroth, William. 1908. *Catalogue of the Imperial Byzantine Coins in the British Museum*, II, London. 331 if and plates 38, 39.

Eliso Elizbarashvili
Giorgi Tsereteli Institute of Oriental Studies, Georgia

Manifestation of Imperial Cult and Related Prophecies in Byzantium (8th-13th c.)

Key Words: *Byzantine Studies, Source Study, The Emperor Cult, Coronation, Prophecy*

The cult of the emperor in Byzantium is known to originate from ancient Rome and presents a Christianized version of it. Researchers point out that the idea and manifestations of the emperor's cult had an important role to play in shaping the iconoclasm in Byzantium. It has been repeatedly mentioned about the tight connection between Byzantine Christianity and Byzantine Imperial ceremonies, the main source of which is Constantine Porphyrogenitus' "De Ceremoniis". The cult of the emperor includes rituals and symbols that demonstrate that the emperor is not an ordinary human being.

One of the manifestations of the Imperial cult is the prophecies associated with future emperors, and whether their rule will succeed or not. In this regard stories by Byzantine historiographers of the 8th-13th centuries are discussed in

the article. There are basically two types of narratives about the emperor's prophecies: prophetic miracles – visions, dreams, events (divine intervention) – and direct prophecies of oracles and astrologers. It is not uncommon for different rulers of the empire to have similar, or even identical, legends, which would have increased the degree of persuasiveness of these narratives in the eyes of the reader of these texts, since stereotypical and repetitive character was considered as a guarantee of credibility.

The prophecies tell us that becoming an emperor, whether it be a porphyrogenetic prince or a mere soldier at the head of an empire, is driven by divine will. This emphasizes the uniqueness of the future emperor, ensuring his cult.